




ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის
ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი



სემინარი იმანუელ კანტის სამართლის ფილოსოფიის შესახებ

10.06.2021

სემინარის ხელმძღვანელი: პროფ. გიორგი თავაძე

ასისტენტი: ლაშა ლურსმანაშვილი

„ზნეობის მეტაფიზიკა“ (1797 წ.)

პირველი ნაწილი: სამართლის შესახებ მოძღვრების მეტაფიზიკური საფუძვლები

1. შესავალი ზნეობის მეტაფიზიკაში
2. შესავალი სამართლის შესახებ მოძღვრებაში
3. სამართლის შესახებ მოძღვრების კლასიფიკაცია

„სამართლის შესახებ მოძღვრება“

პირველი ნაწილი - კერძო სამართალი

მეორე ნაწილი: საჯარო სამართალი

მეორე ნაწილი: სიქველის შესახებ მოძღვრების მეტაფიზიკური საფუძვლები

- კანტი სამართალს და ეთიკას მორალის ფილოსოფიის ორ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს.
- მორალის ფილოსოფია: სამართალი + ეთიკა
- ნაშრომი საკმაოდ სტრუქტურირებულია/დასახსრულია.
- კანტი გამოყოფს ძირითად „აქსიომებს“ და „პოსტულატებს“, რომლებიდანაც სამართლის შესახებ მთელი მოძღვრება სისტემურად გამომდინარეობს.

- კანტი აცხადებს, რომ ნაშრომის უმთავრეს მიზანს საყოველთაო და ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევა წარმოადგენს. AA, 6, 355, 7-9.
- **მეთოდოლოგიური შენიშვნა:** შესაბამისად, სასურველია „სამართლის შესახებ მოძღვრების“ კითხვისას ვითვალისწინებდეთ მარადიული მშვიდობის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომს (1795 წ.).
- მშვიდობის უზრუნველყოფა **ინდივიდუალური უფლებების დაცვით** ხორციელდება.
- უფლებების დაცვა მხოლოდ „სამართლებრივ მდგომარეობაშია“ შესაძლებელი.
- კანტის გამორჩეულობა სხვა ავტორებისგან (გროციუსი, პუფენდორფი, ვატელი, მონტესკიე, რუსო, ჰამილტონი, მედისონი და სხვ.): კანტის ანალიზი მოიცავს როგორც სახელმწიფოს, ასევე, საერთაშორისო სამართალს და გლობალური კოსმოპოლიტური ერთობის იდეასაც. იგი **ყოველსმომცველ სამართლებრივ ჩარჩოს** გვთავაზობს.

- ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, სამართლის შესახებ მოძღვრება ინდივიდუალურ უფლებებს ეხება.
- მე მაქვს უფლება სხვა პირთან მიმართებით, თუკი მე: 1. გამაჩნია მოთხოვნა, რომ ეს პიროვნება მოიქცეს გარკვეული წესით, ან 2. თავი შეიკავოს გარკვეული წესით მოქმედებისგან და 3. თუკი მე შემიძლია ამ მოთხოვნის წაყენება მისთვის. AA 6, 390, 35 – 391, 3.
- **განსაზღვრება:** უფლება, როგორც სხვების დავალდებულების **მორალური** უნარი. AA 6, 237, 18.
- უფლება არის მორალური და, შესაბამისად, მეტაფიზიკური ცნება.
- **მორალური** = არაფიზიკური (მეტაფიზიკა - „ფიზიკურის მიღმა“). ის, რაც მორალურია, შეგრძნებების სამყაროს კი არ განეკუთვნება, არამედ ინტელიგიბელურ (მეტაფიზიკურ) სამყაროს.
- სამართლებრივი ვალდებულებები ეთიკური (მორალური ვალდებულებებია) და ისინი მეტაფიზიკურ სამყაროს განეკუთვნება, რადგან ეს ვალდებულებები, თავიანთი ბუნებით, არაფიზიკურია.
- კანტი ერთმანეთისგან განასხვავებს ზნეობას (Sitten, mores/morals) და მორალს (morality). ზნეობა დაკვირვებადი ფენომენია და მისი შესწავლა ემპირიულად შეუძლია, მაგალითად, ეთნოგრაფს. ზნეობა ფიზიკურ სამყაროში არსებობს.
- სათაური „ზნეობის მეტაფიზიკა“ მიგვანიშნებს, რომ ხდება გადასვლა ამ ემპირიული, ფიზიკურ სამყაროში არსებული ზნეობიდან მეტაფიზიკურ, არაფიზიკურ, ინტელიგიბელურ სამყაროში.

- „მორალი“ სწორედ ამ მეტაფიზიკას განეკუთვნება.
- ზნეობა (Sitten, mores/morals) - ფიზიკური სამყარო
- მორალი/მორალური (morality) - მეტაფიზიკური/ინტელიგიბელური სამყარო
- უფლება მორალური/არაფიზიკური კატეგორიაა.
- ანალოგიურად, კანტი ერთმანეთისგან განასხვავებს ბუნების კანონებს (მეცნიერული კანონები) და თავისუფლების კანონებს.
- თავისუფლების კანონები (იურიდიული თუ ეთიკური) მორალური კანონებია, რადგან მათ მეტაფიზიკური (არაფიზიკური) ბუნება აქვთ (AA 6, 214, 13–17): თავისუფლება (ზნეობის მეტაფიზიკის ჭრილში) - შინაგანი თავისუფლება იქნება ეს თუ გარეგანი თავისუფლების უფლება - გრძნობადი სამყაროს ფენომენი არ არის. მათი გააზრება მხოლოდ მეტაფიზიკის ჭრილშია შესაძლებელი.
- შინაგანი თავისუფლება საკუთარ თავს უწესებს კანონებს, რომლებიც არსებითად განსხვავდება ბუნების კანონებისგან. პიროვნება (მარტო, ან სხვებთან ერთად) საკუთარ თავს უწესებს თავისუფლების კანონებს, რომლებსაც შემდგომში ექვემდებარება (AA 6, 223, 29–31).
- „სამართლის შესახებ მოძღვრებაში“ კანტი არაერთხელ უბრუნდება იმ საკითხს, თუ თავისუფლების რომელ კანონებს გვკარნახობს ჩვენ გონება. თავისუფლების კანონებს შორის ყველაზე უზენაესი კატეგორიული იმპერატივია.

- კანტი იმგვარად აყალიბებს თავისუფლების კანონებს, რამდენადაც ისინი აპრიორულად შეიძლება იქნენ შემეცნებული გონების მიერ. ამ კანონებს იგი შემდეგში „ბუნებით (მორალურ) კანონებს“ უწოდებს (არ ავურიოთ ბუნების კანონებში).
- „სამართლის მოძღვრების“ ცენტრალური დაშვება: ადამიანებს აქვთ თანშობილი უფლება ექსტერნალურ თავისუფლებაზე. ამ დაშვებას კანტი „ექსტერნალური თავისუფლების აქსიომას“ უწოდებს (AA 6, 267, 12-13; 268, 25).
- სამართლებრივ სახელმწიფოში თავისუფლების კანონებს წარმოადგენს არა მხოლოდ ბუნებითი კანონები, არამედ დამავალდებულებელი პოზიტიური კანონებიც.
- მაგალითი: გზის სავალ ნაწილზე მარჯვენა მხარეს გადაადგილების ვალდებულება გონებიდან აპრიორულად არ გამომდინარეობს. ის გამომდინარეობს „საგზაო წესების“ პოზიტიური კანონიდან. საგზაო კოდექსი მეტაფიზიკის ნაწილია, რადგან მისგან უფლებები და ვალდებულებები (არაფიზიკური ობიექტები) გამომდინარეობს.
- ამრიგად, სამართლის შესახებ მოძღვრება ეხება ჩვენს უფლებებსა და ვალდებულებებს და ის მორალის მეტაფიზიკის ნაწილია. ამავე დროს, არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეს უფლებები და ვალდებულებები ბუნებითი სამართლიდან გამომდინარეობენ თუ პოზიტიური სამართლიდან იღებენ დასაბამს.

- შესავალში კანტი აღნიშნავს, რომ გადმოცემა („სქოლასტიკურად“) ზუსტი უნდა იყოს (AA 6, 206, 24-26).
- კანტის გადმოცემის ე.წ. „გეომეტრიული“ მეთოდი (AA 6, 232, 30 – 233, 23; 273, 11-29).
- გავლენები კანტზე: პუფენდორფი, *Elementa Jurisprudentiae Universalis* (1660); სპინოზა, *Ethica More Geometrico Demonstrata* (1677).
- „წმინდა გონების კრიტიკის“ მნიშვნელობა კანტის სამართლის მოძღვრებისთვის: ბევრი ცნება, რომელიც „კრიტიკაში“ გვხვდება, კანტის მიერ სამართლის მოძღვრებაშია გამოყენებული („ექსტერნალური“, „ინტერნალური“, „სუბსტანცია“, „ფორმა“ და ა.შ.).
- გოტფრიდ ახენვალის (1719-1772) *Prolegomena Iuris Naturalis* (1758) და *Ius Naturae* (1755). აღნიშნულ ნაშრომებზე კანტი ლექციებს 20 წელზე (!) მეტი ხნის განმავლობაში კითხულობდა,
- ახენვალმა ძლიერი გავლენა მოახდინა კანტზე: კანტი იყენებს ახენვალის ტერმინებს; ასევე, ხშირად იწყებს მსჯელობას ახენვალის თეორიის გადმოცემით (როგორც წესი, მისი დასახელების გარეშე) და შემდეგ აკრიტიკებს მას.

41-პარაგრაფი: ზოგადი მიმოხილვა

- „სამართლის მოძღვრების“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პასაჟია 41-ე პარაგრაფი, რომელსაც ეწოდება „გადასვლა ჩემი-სა და შენი-ს ბუნებრივი მდგომარეობიდან სამართლებრივ მდგომარეობაზე“ (AA 6, 305, 31-306, 35).
- აღნიშნული პარაგრაფით კანტი ასრულებს კერძო სამართლის (ანუ ექსტერნალური ჩემი და შენი-ს, ექსტერნალურ ობიექტებთან დამოკიდებულების) განხილვას. ეს არის გადასვლა სამართლებრივ მდგომარეობაში არსებულ საჯარო სამართალზე.
- 41-ე პარაგრაფში მოცემული საჯარო სამართლის პოსტულატი მოგვიწოდებს სამართლებრივ მდგომარეობაზე გადასვლისკენ (AA 6, 306, 25-28), სადაც სამართალი და ინდივიდუალური უფლებები საჯაროა (41-ე პარაგრაფში მოცემულია პოსტულატის შინაარსი, ხოლო თავად პოსტულატი ამ სახელით 42-ე პარაგრაფის დასაწყისშია მოხსენებული).

41-პარაგრაფი: სამართლებრივი მდგომარეობა

- აღნიშნული პარაგრაფის პირველივე წინადადება სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრებას ეხება.
- „სამართლებრივი მდგომარეობა (*der rechtliche Zustand / status iuridicus*) არის ისეთი ურთიერთობა ადამიანებს შორის, რომელიც შეიცავს პირობებს, მხოლოდ და მხოლოდ რომელთა არსებობის შემთხვევაში, ყველას შეუძლია, ისარგებლოს საკუთარი უფლებებით“ (AA 6, 305, 34 – 306, 1).
- აღნიშნული ტერმინი გვხვდება, ასევე, „მარადიულ მშვიდობაშიც“ (1795 წ.), ოღონდ საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებით: „საერთაშორისო სამართალთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ მის შესახებ საუბარი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს გარკვეული სამართლებრივი მდგომარეობა (ანუ ისეთი გარეგანი პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ადამიანებს ნამდვილად შეუძლიათ, ისარგებლონ უფლებებით)“ (AA 8, 383, 9-10).
- სამართლებრივი მდგომარეობის დროს დაცულია ის უფლებები, რომლებიც ინდივიდებს აქვთ იმ ფაქტის ძალით, რომ ისინი ადამიანები არიან.
- ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უფლებები ინდივიდებს ბუნებით, ანუ არასამართლებრივ მდგომარეობაშიც აქვთ.

- თუმცა, ერთია უფლებების ქონა და მეორე - ამ უფლებებით სარგებლობა.
- სამართლებრივ მდგომარეობაში ინდივიდთა უფლებებს სახელმწიფო იცავს. სახელმწიფო კი არ ანიჭებს ამ უფლებებს ადამიანებს, არამედ უზრუნველყოფს მათ დაცვას და უპირობო, ხელშეუვალ უფლებებად გამოცხადებას.
- შდრ. „მთელი საჯარო სამართლის საბოლოო მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ისეთი მდგომარეობა, მხოლოდ და მხოლოდ რომლის დროსაც ყველას უპირობოდ მიენიჭება ის, რაც მისია“ (AA 6, 341, 2-4).
- ბუნებითი მდგომარეობა იმით კი არაა პრობლემური, რომ ადამიანებს მის დროს უფლებები არა აქვთ, არამედ იმით, რომ ეს უფლებები არაა დაცული. მხოლოდ სამართლებრივ მდგომარეობაში იქცევა ეს უფლებები ხელშეუვალ უფლებებად.
- იურიდიულ მდგომარეობაში/სახელმწიფოში ჩვენი უფლებები იმპერატიულია, რადგან აქ არსებობს მოსამართლე, რომელსაც გამოაქვს საბოლოო დამავალდებულებელი გადაწყვეტილება უფლებების კოლიზიის შემთხვევაში. გარდა ამისა, არსებობს სახელმწიფოს დამავალდებულებელი ძალაც.
- იურიდიული მდგომარეობის კანტისეული იდეა საფუძვლად უდევს „სამართლებრივი სახელმწიფოს“ (Rechtsstaat) იდეას (კანტის მოღვაწეობის პერიოდში ეს ტერმინი არ გამოიყენებოდა).
- ამრიგად, „სამართლის შესახებ მოძღვრება“ აყალიბებს უფლებების სისტემას, რომლებიც ინდივიდებს აპრიორულად აქვთ და რომლებიც სამართლებრივმა სახელმწიფომ უნდა დაიცვას.

- ზოგჯერ კანტი „სამართლებრივი მდგომარეობის“ ნაცვლად იყენებს ტერმინს „სამოქალაქო მდგომარეობა“ (bürgerliche Zustand), თუმცა „სამართლის შესახებ მოძღვრებაში“ ეს ორი გამოთქმა ხშირად ურთიერთშენაცვლებადია და ისინი გულისხმობენ იმ მდგომარეობას, რომელზე გადასვლის ვალდებულებაც ინდივიდებს აქვთ (AA 6, 311, 12-14).
- სამოქალაქო მდგომარეობა არის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მაშინ წარმოიშვება, როდესაც ხალხი კონსტიტუციის ქვეშ ერთიანდება. ის მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო ნების კანონს ეფუძნება (AA 6, 257, 1-2).
- „სამოქალაქო საზოგადოებას“ კანტი ისეთ საზოგადოებას უწოდებს, რომლის პირობებშიც „ჩემი და შენი საჯარო კანონებითაა დაცული“ (AA 6, 242, 18-19).
- სამოქალაქო საზოგადოების კანტისეული ცნება განსხვავდება ჰობსის ანალოგიური ცნებისგან (societas civilis). ჰობსისთვის ნებისმიერ ორგანიზებული სახელმწიფო სისტემა სამოქალაქო საზოგადოებაა, თუნდაც ის დიქტატორული რეჟიმი იყოს.
- კანტი მიუთითებს, რომ ჰობსთან უზენაესი მმართველი არ არის დავალდებული ქვეშევრდომებთან დადებული ხელშეკრულებით. შესაბამისად, რაც არ უნდა გააკეთოს მან, ეს ხელშეკრულების დარღვევად ვერ ჩაითვლება (De Cive, 7, 14). კანტისთვის ეს კატეგორიულად მიუღებელია (AA 8, 303, 26 – 304, 2).

- არასამართლებრივ მდგომარეობას, ანუ ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც დისტრიბუციული სამართალი არ არსებობს, ბუნებითი მდგომარეობა (status naturalis) ეწოდება (AA 6, 306, 17-18).
- ბუნებით მდგომარეობას უპირისპირდება არა საზოგადოებრივი (gesellschaftliche Zustand), არამედ სამოქალაქო მდგომარეობა (bürgerliche Zustand), რადგან ბუნებით მდგომარეობაში შეიძლება არსებობდეს საზოგადოება, თუმცა ის ვერ იქნება სამოქალაქო საზოგადოება (AA 6, 242, 15-18), რადგან იქ არ არსებობს საყოველთაო ნების გამომხატველი კონსტიტუცია და სამართლებრივი მდგომარეობა.
- ბუნებითი მდგომარეობა = საზოგადოებრივი მდგომარეობა ≠ სამოქალაქო მდგომარეობა
- სამართალს ბუნებით მდგომარეობაში კერძო სამართალი ეწოდება (AA 6, 242, 19). ეს არის კერძო სამართლის მდგომარეობა, როდესაც შესაძლებელია სამართლის შესახებ განსხვავებული შეხედულებების არსებობა.
- ამრიგად, კერძო სამართლის კანტისეული ცნება განსხვავდება ამ ცნების თანამედროვე გაგებისგან. დღეს ამ ცნებაში იგულისხმება ის სამართალი, რომელიც კერძო მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებს არეგულირებს.
- კერძო სამართალი კანტთან ისეთი სამართალია, რომელიც ჯერ არ გამხდარა საჯარო, რომელიც ჯერ არ არის გასაჯაროებული.

- კერძო სამართლის პირობებში ყველა საკუთარი შეხედულების მიხედვით მოქმედებს და იქცევა ისე, როგორც მას მიაჩნია სწორად და მართებულად (AA 6, 312, 11-12). ეს აუცილებლობით არ გულისხმობს უსამართლო მდგომარეობას (iniustus), როდესაც ყველა მხოლოდ საკუთარ ძალას დაემყარება.
- თუმცა, ამ მდგომარეობაში **საჯაროდ, ოფიციალურად** არაა გაქდერებული, თუ რა ითვლება სწორად და სამართლიანად. კანტი ასეთ მდგომარეობას **სამართლიანობის არქონის/არარსებობის** მდგომარეობას (Rechtlosigkeit, status iustitia vacuus) უწოდებს, სადაც უფლებები საკამათოა და არ არსებობს კომპეტენტური მოსამართლე, რომელიც სავალდებულო სახის გადაწყვეტილებას გამოიტანს (AA 6, 312, 22-28).
- ამიტომაც, ინდივიდები ვალდებულები არიან, გადავიდნენ სამართლებრივ მდგომარეობაში, რადგან მხოლოდ მის პირობებშია შესაძლებელი მათი უფლებების დაცვა.
- როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, „მთელი საჯარო სამართლის საბოლოო მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ისეთი მდგომარეობა, მხოლოდ და მხოლოდ რომლის დროსაც ყველას **უპირობოდ** მიენიჭება ის, რაც მისია“ (AA 6, 341, 2-4).
- „ბუნებით მდგომარეობაში არსებული კერძო სამართლიდან გამომდინარეობს **საჯარო სამართლის პოსტულატი**: სხვებთან ისეთი თანაცხოვრების პირობებში, როდესაც მათთან ურთიერთობას თავიდან ვერ აირიდებ, უნდა გადახვიდე სამართლებრივ, ანუ დისტრიბუციული სამართლიანობის (austheilende Gerechtigkeit) მდგომარეობაში (AA 6, 307, 8-11).

დეფინიციები

- „სამართლებრივი მდგომარეობის შესაძლებლობის ფორმალურ პრინციპს, საყოველთაო კანონმდებელი ნების იდეის ქრილში განხილულს, საჯარო სამართლიანობა ეწოდება“ (AA 6, 306, 1-3).
- „კანონების ერთობლიობას, რომელთა გასაჯაროება საჭიროა იმისთვის, რათა სამართლებრივი მდგომარეობა წარმოიშვას, საჯარო სამართალი ეწოდება“ (AA 6, 311, 6-8). კანტი ხანდახან „საჯარო სამართლებრივ მდგომარეობაზეც“ საუბრობს (AA 6, 259, 23-24; 291, 27).
- „ამრიგად, საჯარო სამართალი არის კანონების სისტემა ხალხისთვის, ანუ ადამიანთა ან ხალხთა ერთობლიობისთვის, რომლებიც ერთმანეთზე ზემოქმედებენ და საჭიროებენ სამართლებრივ მდგომარეობას მათი გამაერთიანებელი ნების, ანუ კონსტიტუციის ქვეშ, იმისთვის რათა მათ ისარგებლონ იმით, რაც სამართლიანია“ (AA 6, 311, 8-12).
- „ამ მდგომარეობას ინდივიდთა ურთიერთმიმართების ქრილში სამოქალაქო მდგომარეობა (status civilis) ეწოდება, ხოლო მთელს მის ცალკეულ წევრებთან მიმართებით - სახელმწიფო (civitas)“ (AA 6, 311, 12-15).

- საჯარო სამართლის პოსტულატს, შესაძლოა, საჯარო უფლებების პოსტულატიც ვუწოდოთ, რადგან ის გერმანული სიტყვის Recht ორივე მნიშვნელობას მოიცავს.
- უფლებებს კანტი ყოფს ბუნებით უფლებებად (რომლებიც მხოლოდ აპრიორულ პრინციპებს ეფუძნება) და პოზიტიურ (სტატუტორულ) უფლებებად, რომლებიც კანონმდებლის ნებიდან გამომდინარეობენ (AA 6, 237, 15-17).
- დავუბრუნდეთ საჯარო სამართლის ცნებას. კანტი ერთმანეთისგან განასხვავებს Recht-ის ორ მნიშვნელობას: 1. ბუნებითი და პოზიტიური სამართლის შესახებ მოძღვრებები (objektives Recht); 2. სხვების დავალდებულების მორალური უნარი, ანუ უფლება (subjektives Recht).
- თუმცა, საჯარო სამართლის კანტისეული ცნება განსხვავდება ამ ცნების ტრადიციული გერმანული გაგებისგან, რომლის თანახმად საჯარო სამართალი არეგულირებს კერძო მხარეების მიმართებას სახელმწიფოსთან.
- საჯარო სამართლის კანტისეული ცნება უფრო ფართოა და ის მოიცავს როგორც კერძო, ასევე, კონსტიტუციურ, საჯარო და ადმინისტრაციულ სამართალს.

- „საჯარო“ კანტთან უპირისპირდება „დაფარულს“, „საიდუმლოს“. საჯარო არის ის, რაც ღია და მისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
- კანტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოში დაუშვებელია კანონების გასაიდუმლოება (AA 8, 303, 31-32).
- საჯაროობის მნიშვნელობაზე კანტი საუბრობს „მარადიულ მშვიდობაშიც“: აქ საჯაროობის ფორმა სამართლიანობის და სამართლის/უფლებების აუცილებელ წინაპირობადაა გააზრებული (AA 8, 381, 4-11).
- შესაბამისად, „სამართლის შესახებ მოძღვრებაში“ კანტი მოითხოვს, რომ უფლებები საჯარო უნდა იყოს: ჩემს მიერ ნივთის მფლობელობა გულისხმობს „მფლობელობის უწყვეტ აქტს“, რომელიც, ამავე დროს, „მფლობელობის საჯარო აქტი უნდა იყოს“, „საჯაროდ დადასტურებული უწყვეტი მფლობელობის ნიშანი“ (AA 6, 292, 14-16; 364, 13-14; 364, 24).
- ამრიგად, საჯარო სამართლის პოსტულატის თანახმად, დაუშვებელია კანონებისა და უფლებების გასაიდუმლოება.

შეჯამება

- **მორალის ფილოსოფია:** სამართალი + ეთიკა
- **მორალური = არაფიზიკური.** უფლება არის მორალური და, შესაბამისად, მეტაფიზიკური ცნება. სამართლებრივი ვალდებულებები ეთიკური (მორალური ვალდებულებებია) და ისინი მეტაფიზიკურ სამყაროს განეკუთვნება.
- „სამართლის მოძღვრების“ ცენტრალური დაშვება: ადამიანებს აქვთ თანშობილი უფლება ექსტერნალურ თავისუფლებაზე. ამ დაშვებას კანტი „ექსტერნალური თავისუფლების აქსიომას“ უწოდებს.
- „სამართლის მოძღვრების“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პასაჟია 41-ე პარაგრაფი, რომელსაც ეწოდება „გადასვლა ჩემი-სა და შენი-ს ბუნებრივი მდგომარეობიდან სამართლებრივ მდგომარეობაზე“.
- 41-ე პარაგრაფში მოცემული საჯარო სამართლის პოსტულატი მოგვიწოდებს სამართლებრივ მდგომარეობაზე გადასვლისკენ.
- **სამართლებრივი მდგომარეობის** დროს დაცულია ის უფლებები, რომლებიც ინდივიდებს აქვთ იმ ფაქტის ძალით, რომ ისინი ადამიანები არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უფლებები ინდივიდებს ბუნებით, ანუ არასამართლებრივ მდგომარეობაშიც აქვთ.

- ბუნებითი მდგომარეობა იმით კი არაა პრობლემური, რომ ადამიანებს მის დროს უფლებები არა აქვთ, არამედ იმით, რომ ეს უფლებები არაა დაცული. ეს არის კერძო სამართლის მდგომარეობა.
- კერძო სამართალი კანტთან ისეთი სამართალია, რომელიც ჯერ არ გამხდარა საჯარო, რომელიც ჯერ არ არის გასაჯაროებული.
- მხოლოდ სამართლებრივ მდგომარეობაში იქცევა ეს უფლებები ხელშეუვალ უფლებებად, რადგან მათ დაცვას სახელმწიფო უზრუნველყოფს.
- სამოქალაქო მდგომარეობა არის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მაშინ წარმოიშვება, როდესაც ხალხი კონსტიტუციის ქვეშ ერთიანდება. ის მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო ნების კანონს ეფუძნება.
- „საჯარო“ კანტთან უპირისპირდება „დაფარულს“, „საიდუმლოს“. საჯარო არის ის, რაც ღია და მისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საჯარო სამართლის კანტისეული ცნება უფრო ფართოა და ის მოიცავს როგორც კერძო, ასევე, კონსტიტუციურ, საჯარო და ადმინისტრაციულ სამართალს.

გამოყენებული ლიტერატურა

- **B. Sharon Byrd, Joachim Hruschka, *Kant's "Doctrine of Right". A Commentary***, Cambridge: Cambridge University Press, 2010.
- **Immanuel Kant, *Gesammelte Schriften, Band 6***. Herausgegeben von der Königlich Preussischen Akademie der Wissenschaften, Berlin: Druck und Verlag von Georg Reimer, 1907.
- **Immanuel Kant, *The Metaphysics of Morals***. Introduction, translation and notes by Mary Gregor, Cambridge: Cambridge University Press, 1991.